INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი მაუწყებელის ვებ-გვერდის (www.gpb.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 29 ივნისი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. #4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „საზოგადოებრივი მაუწყებელი“

www.gpb.ge

<u>გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები</u>




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
26,32%
60,50%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
25,00%
19,00%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
40,00%
18,00%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
45,45%
23,80%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
14,29%
51,50%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
28,57%
18,25%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
20,00%
18,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
75,00%
27,33%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი მაუწყებელის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის კომპეტენციის აღწერა და საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

2. საზოგადოებრივი მაუწყებლის სრული სახელწოდებაა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სიზუსტით ზემოთხსენებული დასახელება. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა და ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

3. საზოგადოებრივი მაუწყებლის მოქმედი დებულების თანახმად მაუწყებელი წარმოადგენს „მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად რეორგანიზებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობის” სამართალმემკვიდრეს. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ვებ-გვერდზე არ მოიძიება.

4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საზოგადოებრივი მაუწყებლის საფოსტო მისამართი (საფოსტო ინდექსზე მითითებით) და ფაქსის ნომერი. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება საზოგადოებრივი მაუწყებლის სტრუქტურის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (ყველა სტრუქტურული ერთეულის სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა, საფოსტო მისამართი და ფაქსის ნომრები). აღსანიშნავია ისიც, რომ განყოფილებაში სათაურად „საკონტაქტო ინფორმაცია“ მოყვანილ ტელეფონის ნომრებს არ გააჩნიათ იმის აღნიშვნა, ეკუთვნიან თუ არა მოცემული ნომრები საზოგადოებრივი მაუწყებლის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.



5. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება საზოგადოებრივი მაუწყებლის მსგავსი კომპეტენციის საჯარო დაწესებულებების ჩამონათვალი და მათ ვებ-გვერდებზე გადასასვლელი ბმულები.

6. მართალია ვებ-გვერდზე განთავსებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის შესახებ ისტორია, თუმცა იგი მიმოფანტულია ორ განყოფილებაში - „სამეურვეო საბჭო“ და „საზოგადობრივი მაუწყებელი“, სასურველია რომ აღნიშნული ინფორმაცია იყოს განთავსებული

შესაბამის ქვე-განყოფილებაში „ისტორია“, რომელიც იუწყება, რომ „გვერდი მზადების პროცესშია“.



7. მართალია ვებ-გვერდზე განთავსებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის მისიების, ღირებულებების, მიზნების და ამოცანების აღწერა, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია განთავსებულია ქვე-განყოფილებაში „მაუწყებლის შესახებ“. სასურველია რომ აღნიშნული ინფორმაცია იყოს განთავსებული შესაბამის ქვე-განყოფილებაში სათაურით „მისია და ღირებულებები“, რომელიც იუწყება, რომ „გვერდი მზადების პროცესშია“:

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

8. მართალია საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ-გვერდზე არსებობს შესაბამისი ქვე-განყოფილება „სტრუქტურა“, თუმცა ის იუწყება, რომ „გვერდი მზადების პროცესშია“:

ვებ-გვერდზე არ მოიძიება შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ვებ-გვერდზე არ მოიძიება საზოგადოებრივი მაუწყებლის სტრუქტურული ხე და სტრუქტურის ინფორმაციული აღწერა, აგრეთვე ყველა მოქმედი სტრუქტურული ერთეულის ჩამონათვალი;

- ვებ-გვერდზე არ მოიძიება საზოგადოებრივი მაუწყებლის სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა (სამეურვეო საბჭოს შემთხვევის გარდა);

- ვებ-გვერდზე არ მოიძიება საზოგადოებრივი მაუწყებელს სტრუქტურული ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები;

- ვებ-გვერდზე არ მოიძიება საზოგადოებრივი მაუწყებლის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელობის შესახებ ინფორმაციის მომცველი განცალკევებული განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების კომპეტენციის აღწერა და საკონტაქტო რეკვიზიტები - სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. ვებ-გევრდზე წარმოდეგენილია მხოლოდ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის და წევრების სახელები და გვარები, ფოტოსურათები და ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები:



- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

9. ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია უშუალოდ ეხება საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის სფეროს, თუმცა მიუხედავად ამისა, ვებ-გვერდზე არ მოიძიება ისეთი მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები, როგორებიცაა: ხელშეკრულებათა ბაზა, სტატისტიკური მაჩვენებლები, პროგრამების, პროექტების, ტენდერებისა და ვაკანსიათა არქივი, (არსებობს ქვე-განყოფილებები „ვაკანსიები“, „ ტენდერები“, „კონკურსები“, „აუქციონები“, თუმცა არცერთი მათგანი არ არის მოქმედი) *და ა.შ.* :



- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

10. ვებ გვერდზე არ მოიძიება საზოგადოებრივი მაუწყებელის გენერალური დირექტორის ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ ცნობები.

11. არ მოიძიება მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ საზოგადოებრივი მაუწყებელის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

12. სასურველია საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ-გვერდზე არსებობდეს ერთიანი (ქვე-) განყოფილება - ,,პროგრამები/პროექტები“, რომელიც მოიცავს იმ პროექტებისა და სახელმწიფო, მიზნობრივი *და ა.შ.* პროგრამების ჩამონათვალს, რომლის დამკვეთი, შემსრულებელი ან

რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს საზოგადოებრივი მაუწყებელი. მოცემული (ქვე-)განყოფილება აგრეთვე უნდა მოიცავდეს პროექტებისა და პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებათა შესახებ სრულ ცნობებსა და მათი შესრულების შესახებ მოხსენებებს.

13. საჭიროა ვებ-გვერდზე განცალკევებულად არსებობდეს ქვე-განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და ,,პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და საზოგადოებრივი მაუწყებლის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

14. ვებ-გვერდზე მიმოფანტულია ცნობები სტატისტიკური მაჩვენებლების შესახებ (წლიურ და კვარტალურ ანგარიშებში). სასურველია განცალკევებულად არსებობდეს (ქვე-) განყოფილება „სტატისტიკა“, სადაც თავმოყრილი იქნება საზოგადოებრივი მაუწყებელს მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

15. შეიძლება ითქვას რომ ვებ-გვერდზე არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა, (მოიძიება მხოლოდ საზოგადოებრივი მაუწყებლის დებულება, მაუწყებელთა ქცევის კოდექსი და საზოგადოებრივი მაუწყებლის შინაგანაწესი) რომელშიც განთავსებული იქნებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის სფეროსთან და საქმიანობის ორგანიზაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების ტექსტები, კანონქვემდებარე აქტები, საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები, შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები. აგრეთვე სასურველია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის დებულება და შინაგანაწესი მოიძიებოდეს შესაბამის განცალკევებულ (ქვე-)განყოფილებებში:



- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

16. ინფორმაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან სრულად არ არის წარმოდგენილი: ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

17. ვებ-გვერდზე საერთოდ არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ტენდერებისა და აუქციონების შესახებ. მართალია არსებობს ქვე-განყოფილებები „ტენდერები“, „კონკურსები“ და „აუქციონები“, თუმცა არცერთი მათგანი არ მუშაობს. არ მოიძიება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი.

18. საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა საზოგადოებრივ მაუწყებელსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე მაუწყებელსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო-სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები. (ვებ-გვერდზე მოიძიება მხოლოდ ერთი ხელშეკრულება სსმ-სა და ”ქეი 1” შორის, რომელიც აგრეთვე სასურველია განთავსდეს შესაქმნელ განცალკევებულ (ქვე-)განყოფილებაში).

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

19. მართალია ვებ-გვერდზე არსებობს განცალკევებული ქვე-განყოფილება „ვაკანსიები“, თუმცა ის არ მუშაობს. აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში უნდა მოიძიებოდეს საზოგადოებრივ მაუწყებელში ვაკანტურ თანამდებობათა და ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, საჯარო თანამდებობათა

დასაკავებელი კონკურსის შედეგები (საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით), საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა *და ა.შ.*

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

20. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ-გვერდი გამოირჩევა თემატურად დახარისხებული და საქმიანობის საკმაოდ ამომწურავი ანგარიშების სიუხვით (მათ შორის ფინანსური ანგარიშებითაც), თუმცა სასურველია ფინანსური ხასიათის ინფორმაცია გამოტანილ იქნეს ანგარიშების გარეთ და განთავსებულ იქნეს შესაბამის შესაქმნელ თემატურ ქვე-განყოფილებებში („ასიგნებები“, „შესრულების ბალანსი“, „საშტატო განრიგი“, „ბალანსზე არსებული ქონება“, ,,გრანტები“, „პროგრამები/პროექტები“ და *ა.შ.*).

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
55,56%
2. ძიება
20,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
64,71%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
0,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
40,00%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
57,89%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
0,00%
9. ელექტრონული ჩართულობა
0,00%
10. ელექტრონული სერვისები
9,09%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
0,00%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
33,33%
0
0,1
0,2
0,3
0,4
0,5
0,6
0,7

➢ ნავიგაცია

ნავიგაციის მთავარი პრობლემა არის სიმაღლეში „გაწელილი“ მენიუ:

მენიუს რომელიმე პუნქტის მოსაძებნად საჭიროა „სქროლით“ ვებ-გვერდის ჩამოწევა. ვებ-გვერდის მენიუ უნდა ჩანდეს მთლიანად, არ უნდა იყოს საჭირო „სქროლით“ ვებ-გვერდის ჩამოწევა ან აწევა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოსავალი არის ე.წ ჩალაგებული (Menu / Sub menu) მენიუს არსებობა, რომელიც ზოგავს ადგილს და რომლის საშუალებითაც გაადვილებულია ვებ-გვერდზე ნავიგაცია.

ჩალაგებული მენიუს მაგალითია: http://javascript-array.com/scripts/jquery_simple_drop_down_menu/

➢ ძიება

პროგრამული კოდი (Javascript) ძიების ველში არის არასწორად დაწერილი. პრობლემა იჩენს თავს ბრაუზერ FIREFOX-ში, როდესაც ძიების ველში საჭიროა ქართული ფონტით ჩაწერა. ამ შემთხვევაში იწერება ისევ ლათინური ფონტით, სხვა ბრაუზერებში კი იწერება ქართული ფონტით:



- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

სასურველია საერთოდ გაუქმდეს ისეთი გვერდები სადაც ინფორმაცია არ მოიძიება და დარჩენილია ცარიელი ველები, ასეთ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ გვერდი მზადების პროცესშია ან ინფორმაცია დროებით არ მოიძიება:

- **საკონტაქტო ფორმები და წესები**

ელ-ფოსტების ფორმატი დარღვეულია არასწორი დომენის მისამართოს გამო.

Gpb.ge -ს უნდა ქონდეს ალტერნატიული მისამართი: gpb.gov.ge

შესაბამისად ელ.ფოსტების ფორმატი უნდა იყოს: info@gpb.gov.ge

- **ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა**

ვებ-გვერდზე სხვადასხვა ფორმატშია ატვირთულია დიდი რაოდენობის დოკუმენტები, თუმცა ზოგიერთი მათგანი საკმაოდ დიდი მოცულობისაა და შესაბამისად იტვირთება ძალიან ნელა, მაგალითად:

http://www.gpb.ge/uploads/documents/2990dd00-3d92-499a-a5d8-fffd1ec8fb88GPB%20Audit%20Report%20on%20Statutory%20Balance%202010.pdf

ეს დოკუმენტი განთავსებულია „აუდიტის დასკვნებში“ :
http://www.gpb.ge/Reports.aspx?LangID=1#5

საჭიროა მსგავსი დოკუმენტების HTML ვერსიის შექმნა და ვებ-გვერდზე განთავსება, რადგან HTML ვერსიის ჩატვირთვა გაცილებით სწრაფად ხდება ვიდრე PDF ვერსიისა.

- **WAP**

ვებ-გვერდი საკმაოდ მარტივია და შესაბამისად მარტივი იქნებოდა მისი WAP ვერსიის გაკეთებაც.

- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდში არ იფილტრება POST და GET ცვლადები.

- **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

ვებ-გვერდი ახალი შექმნილი ჩანს და ძალიან სამწუხაროა, რომ მასზე არ არის გათვალისწინებული სოციალურ ქსელებთან ინტეგრაცია, საზოგადოებრივი მაუწყებლს არც facebook-ზე აქვს გვერდი. თუ საიტის თემატიკას გავითვალისწინებთ, სოციალურ ქსელებთან ინტეგრაცია საკმაოდ დიდ წარმატებას მოუტანს ვებ-გვერდს, როგორც მომხმარებელთა რაოდენობით ასევე პოპულარობით.

- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდზე დაშვებულია ძალიან მნიშვნელოვანი ტექნიკური შეცდომა:

Server Error in '/' Application.

Runtime Error

Description: An application error occurred on the server. The current custom error settings for this appli
machine.

Details: To enable the details of this specific error message to be viewable on remote machines, please cr
"mode" attribute set to "Off".

```
<!-- Web.Config Configuration File -->

<configuration>
    <system.web>
        <customErrors mode="Off"/>
    </system.web>
</configuration>
```

Notes: The current error page you are seeing can be replaced by a custom error page by modifying the "d

```
<!-- Web.Config Configuration File -->
```

ჩვენ დეტალურად არ აღვწერთ ამ ტექნიკურ წუნს, თუმცა დაინტერესების შემთხვევაში საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლებს სრულ ინფორმაციას მივაწვდით არსებული შეცდომისა და მისი გამოსწორების გზების შესახებ.

- **დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები**

ვებ-გვერდზე წამორდგენილია საკმაოდ მნიშნველოვანი დოკუმენტები, თუმცა პრობლემა არის ის, რომ შეუძლებელია მათი შინაარსის ძიება პირდაპირ საიტიდან, ასევე რთულია მათი ჩატვირთვა HTML ვერსიის უქონლობის გამო:

წლიური ანგარიშები

2010 წ.- წლიური ანგარიში
29.04.2011

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ 2009 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში
03.05.2010

2009 წლის წლიური ანგარიში
03.05.2010

სსმ-ის სამეურვეო საბჭოს 2008 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში
08.06.2009

2008 წ. - წლიური ანგარიში (სრული)
08.06.2009

2008 წ. - წლიური ანგარიში (ადამიანური რესურსების მართვის სამსახური)
08.06.2009

2007 წლის ანგარიში (სრული)
08.06.2009

2006 წ. - წლიური ანგარიში (სრული)
08.06.2009

კვარტალური ანგარიშები

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2011 წლის I კვარტლის ანგარიში
28.04.2011

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2010 წლის IV კვარტლის ანგარიში
15.02.2011

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2010 წლის III კვარტლის ანგარიში

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

აშკარად ჩანს, რომ ვებ-გვერდი არც თუ ისე დიდი ხნის წინ არის შექმნილი, რადგან მასზე აშკარად გათვალისწინებულია თანამედროვე ვებ-დიზაინის ტენდენციები - სიმარტივე, ინფორმაციის დიდი შრიფტით გადმოცემა და სხვა. თუმცა, გამორჩენილია ისეთი დეტალები როგორიც არის სოციალურ ქსელებთან ვებ-გვერდის ინტეგრაცია, SEO (search engine optimization) და სხვა წვრილმანი დეტალები. პირველ რიგში აუცილებლად უნდა გამოსწორდეს ვებ-გვერდის ნაკლოვანებები უსაფრთხოების განხრით.